გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 50

2022 წლის 11 მარტი
ქალაქი გორი

ქ. გორში, მელიქიშვილის ქუჩაზე (№21 და №22-ის მიმდებარედ) და შარტავას ქუჩაზე (№108 და №125-ის მიმდებარედ) საგზაო ნიშნების განთასების შესახებ

ქ. გორში, მელიქიშვილისა და შარტავას ქუჩების კვეთის გზაჯვარედინზე, მთავარი გზის პრიორიტეტი გასული წლების მანძილზე და ამჟამადაც აქვს შარტავას ქუჩას. პაპიტაშვილისა და მელიქიშვილის ქუჩების დამაკავშირებელი ხიდის გახსნის შემდეგ, მელიქიშვილის ქუჩაზე გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების ნაკადი. აქედან გამომდინარე აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად და საგზაო უსაფრთხოებიდან და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია მთავარი გზის პრიორიტეტი მიენიჭოს მელიქიშვილის ქუჩას და მასზე განთავსდეს (მელიქიშვილის ქუჩა №21 და №22-ის მიმდებარედ) საგზაო ნიშნები 2.1-„მთავარი გზა“, ხოლო შარტავას ქუჩაზე (შარტავას ქუჩა №108 და №125-ის მიმდებარედ) 2.3-„დაუთმე გზა“.

საგზაო უსაფრთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში მთავარი გზის პრიორიტეტი მიენიჭოს მელიქიშვილის ქუჩას და მასზე განთავდეს (მელიქიშვილის ქუჩა №21 და №22-ის მიმდებარედ) საგზაო ნიშანი 2.1-„მთავარი გზა“, ხოლო შარტავას ქუჩაზე (შარტავას ქუჩა №108 და №125-ის მიმდებარედ) 2.3-„დაუთმე გზა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,

1. ქ. გორში მელიქიშვილისა და შარტავას ქუჩების კვეთაზე არსებულ გზაჯვარედინზე მთავარი გზის პრიორიტეტი მიენიჭოს მელიქიშვილის ქუჩას და განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) მელიქიშვილის ქუჩა №21 და №22-ის მიმდებარედ საგზაო ნიშანი 2.1-„მთავარი გზა“;

ბ) შარტავას ქუჩა №108 და №125-ის მიმდებარედ საგზაო ნიშანი 2.3-„დაუთმე გზა“;

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**